

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაქსდეს ცნობარითვის. (იან. 10—11).  
 ვაჟე ცნობარი ჩემი წაწყვედული. ესრეთ იყოს სისარული ცათა შინა, ერთსთავის ცოდვილსა. (ლუკ. 15—4).  
 მოვედით ჩემდა ყოველხი მაშურალნი და ტვირთ-მიძიმენი და მე განგისვესო თქვენ- (მათ. 11 28).

№ 4

1883—1896

29 თებერვალი.

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვითი . . . . . 3 მან.	12 თვითი . . . . . 5 მან.
9 — . . . . . 2 —	6 — . . . . . 3 —

ფელისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ დარღვევით: *Въ Каврилы, за редакцію „Мікემси“ и „Пастыр.“*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელიცა იქნებიან დასაბუთებულნი გამოგზავნილნი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ბეჭდობისთვის შედგენილნი.  
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ბეჭდობისთვის ხარჯით უკანვე დაბრუნდეს.  
 სტატიები მიიღებენ რუსულს ენაზე და დაწერილნიც დათარგმნით დაიბეჭდებიან.

## დირთო, რა ამბები სდება!

ერთ რუსულ გაზეთში (მოსკ. ველ.) ექვს იანვარს ამ წლისას დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელიც შეეხება სომხებს და მართლ-მადიდებელ ეკლესიის საქმეს ჩვენი მხრი ას. ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მივჩნეოთ ეს სავანი, რომ მოგვყავს პირდაპირი თარგმანი იმ წერილისა თვეთ ბოლომდე.

«თქვენ თბილისელ კორესპონდენტს, როგორც მასოსე, არა ერთხელ დაუმტკიცებია თქვენი გაზეთის სა-

შუალეობით, რომ თბილისში რუსის ყოფა ძნელია, თუ იგი ქება დიდების საუკლობელს არ უმღერს სომხის „ზაზარის“ ეპარქიას, თუ იგი ხელს არ უწყობს მათ სიხარბის განზოხვევებს, ან და სულ განზოხრებით არ არის გამდგარი ყოველი საქმისაგან. თუ ეს რუსის მდგომარეობაა ამ გვირა, მაშ შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართველები და თათრები როგორღა ყოფაში უნდა იყვნენ, საზოგადოდ როგორ ყოფაში უნდა იყოს ყოველი ადამიანი, ესაც არ შეუძლია პირფერობა და ამავე დროს ესაც არაერთიანი უფლება არ აქვს ზურგის მოსამატებელად. ამ ვაჭრებმა არამც თუ დიანყეს მთელი ქონებრივი ძალა, არამედ და-

მის ძირი გაუთხარონ მთავარ საფუძველს მართლ-მადიდებლობისას უფუძვლეს მართლ-მადიდებელ მხარეში.

ამ უკანასკნელ დროს ქართულ განვითარებაში იბეჭდებოდა «ვინმე მღვდლის» წერილები, რომელთაც მიიქცევს ყველას ყურადღება. თითო კოლო წერილების ნამეტანი გულ-წრფელაა. წერილები კი არა უფრო გოდება იგი დიდად-მორწმუნე სულის, რომელიც გაუბრალებია მომხდარ უკუღმართობა-გერაკობას. ეგრავობას განსაცვიფრებელს, რომლის მსგავსი არსად არა თქმულა, არსად არაფერი გავიწილა. ყველაფერი იქ: სიწმიდის შებღალავი, ხალხისა და მისი რწმუნების ქირდევი, ლეთის გომბაც და თაღლითობაც, — ერთის სიტყვით, ყოველგვარი ბოროტი-მოქმედება, უსაზღვრეს სარჩულზე დამყარებული, მოკლედ რომა ესთქვათ, საქმე შეეგება ახალ გვარ თაღლითობას — ძველის ძველ სასტარობა ნაშთზე წარწერბას გამოცდას, წარწერბის მოსმობას იქ, სადაც ეს გამოცდა საჭირო არ არის, უოკვლგან ბოროტ-მოქმედებას, მართლ-მადიდებელ კმატსასა მოსასტრებას წასართმევად წაქედილს... ვინმე მღვდელი გულისხმობს მართლ ახალციხისა და ახალციხელის მხრბას, მაგრამ მას იმნაირისავე საფუძვლით შეეძლო მთელ მართლ-მადიდებელ საქართველოზე-დაც ვთქვა იგივე.

— მაგრამ ტყუილად შეტყობილი ამბები ხომ არ არის ეს? «ვინმე მღვდელი» გამოგონილი აღმთანი ხომ არ არის? ზღაპარი ხომ არ არის მის მიერ მოთხრობილი ამბებია? — გვიოცებს მკითხველი.

— არა, სრულგებობაც გამოგონილი რამე არ არის, არც ზღაპარია, ოდნადაც ვადაშეტებული ამბებიც კი არ არის. არა, აქ არც თვითთული კერძო შემთხვევის გაზოგადებაა. მის მიერ მოთხრობილი ყველაფერი ნამდვილი ქეშპარატებაა, რომლის უე. ქველბაა ვასკვირს მისავე ნაწერ თვითთულ სიტყვაში; გამოგონილი პირი როდ არის ეს საწყალი სოფლის მღვდელი, ძველ იერემიასავეთ იერუსალიმის ნანგრევებზე თავის წინაპართა სილიადის მწარე ზედზე მგოდებელი. მისი ცრემლი და რუღუნება ჩვენ ყველას მომართ წარმოგაზენილია.

— ყველაფერი ეს ნამდვილი, გულწრფელი მისი მწუხარების შედეგია.

ღობა, ყოველივე ეს სინამდვილეა, — სამწუხარო

სინამდვილე, რომელიც შეეგება არამ თუ მართლ «ვინმე მღვდლის» მიერ დასახლებულ მიღმობას, არამედ ბევრ სხვა ალავსაც სრულად მთელ საქართველოს მხარისას. მართლ მტკვრის და ქორბის სათავეების გაყოფილებით ყრბამდე და ერზერუმამდე მოყოლებული, სხდაც საქრისტიანო სიძველის ყველა ნაშთზეგან განსვენებულის მისტორიე დ. პაქაძის მოწმობით, ქართულს გარდა არასოდეს არავითარი სხვა წარწერა არ ყოფილა, — არამედ ჩვენ მართლ-მადიდებელ მხრის თვით უშუაგულში თავის სახეებს არიგებს. ტაძრებს ანგრევენ, სიწმიდეს იტაცებენ, წარწერებს სპობენ, ახალს სიხზავენ მათ მაგიერ, — თვით მკვდართა განსახვენებელი, სასაფლაოებიც კი ვერ აშორებინ ამ საერთო ხედრს.

გნებადესთ დამამტკიცებელი საბუთები? არავისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ თბილისის ზოგიერთი ეკლესიები, რომელიც მართლ-მადიდებლების იყენენ, ესლა მართლ-მადიდებლებს აღარ აქვთ...

არავისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ შესანიშნავი თელეთის მონასტერი, თბილისის რამდენიმე ეკლესია და მორჩეული, მართლ-მადიდებლების ხელში აღარ არის...

ყველამ იცის, რომ ვართაშენში წმ. ელისეს ტაძარი წართმეული და მიითხებულა \*).

სამშვილდის სიონის ეკლესია უკვე მოთაღთაღებულა წასართმევად; თითქმის მიმქრალი მეთავე საუკუნის მისი წარწერა სომხური წარწერით არის შეცვლილი.

იქვე პატარა ქართველების ეკლესია, მერვე საუკუნეზე არა უფიანეს აშენებულების შესანახ აღგალად არის გადატყვეული...

ბელნისის სიანი, ხრამს ვაღმით, თუ არა ტყვბი, მევს ფრსმან მეთობის მიერ აშენებული მეოხე საუკუნეში — მართლ-მადიდებელთა სიწმიდე, სადაც შეჭვილმეტე საუკუნის ვასელამდე სავისკოპოსო კათედრა იყო, ვახტანგ გორგასლანის მიერ დაწესებული — სადაფოდ გამხდარა და დღეს თუ ხელო მის სხვის ხელში ჩაეარდეს.

წართმეულია ნუხას ახლოს გივის ტაძარი, ტაძარი სადაც გიშელები მღვდელ-მთავრობდენ.

\* ) ისილე წარსული წლის «საქსანსოსოს მოამბე»



ამასვე უპირებდნენ ქურმუხის ტაძარს; წმ. გიორგისს, მაგრამ ხალხმა ძალით გამოდგინა ტაძარი და მტაცებლები.

ჩალიღის ტბასთან დაქცეულია ერთი ქართული ეკლესია და ქვეი კარდაკარ არის დატაცებული. შესანიშნავი სოღნახის ციხე თითქმის სულ დანგრეულია და ქვეი დაპარულია. იქვე ქართული წარწერები უძველეს სასაფლაოზე წაშლილია და სომხური თაზა შეცვლილი.

ლორის ციხეში მთლად მოისპო ქართული წარწერები...

გაქა გუჯაბის ეკლესიის წარწერა ბორჩალოს მხარეში.

ერთ ძველის ძველ და მიეწეებულ სასაფლაოზე ერთ ქართველების ეკლესიასთან, კუჩინაბის მონის ქარხანას ახლოს, ბოლო ხანებში ვარდა სულ ახლად ახალი ფეხლები, ახალი სომხურის წარწერებითურთ...

ეკლავგერის ციხეშიდაც ესევე ხდება. და სხვა, და სხვა!

რომ ცოტა მეტეკა ძველი გაზეთები ან და მით უმეტეს, რომ მომეწადინებია დაწევილებით ლავგობრივი ცნობების შეკრება, მაშინ ამ ახლად გაჩენილ ბარბაროსების მოღვაწეობის ნუსხა დაუსრულებელი შეიქნებოდა.

დაქცევა, ისე დაქცევა, და ხელ ახალი დაქცევა, და ბოლო არ უნანს ამ დაქცევის ჩენი მხრისას...

მერე სად არის მმართველობა, სად არის გამოტყუება, სად არის დაცვა იმისა, რაც ღირსია დაციოს?

მმართველობა სომხების ხელშია, გამოტყუებაც მათ საჯარიმოლ ვაგნდარა, მერე დაცვა... იგი მხოლოდ სომხების მიზან-განზარებისათვის სუფევს... რასაც მე ვიწერები, ეს ყველა უკვე იცის, ყველას ზნულს ჰვერის, მაგრამ დაბეჭდვით კი მხოლოდ ნავლეკ-ნავლეკებად თუ შეიძლება ამის გამოშვლება და ისიც ერთადერთ ქართულ გაზეთში. აქაურო სომხური გაზეთები, რუსულ ენაზე გამომალი-ამგვარ საქმეებს გვერდს უქცევენ, ერთად ერთი რუსული გაზეთი «კავკაზია» კი ვერ ჰვერდის ამის შეტებას, რადგანაც გრძობის რისხვას საცენზურო

კომიტეტისას. სტატიები ამ გვარ საქმეებას შესაბამე ყველა გრძელდება ძალიან თანამად, რადგანაც სხვადა სხვა ეროვნების შორის სიმშუღვარის აღმძვრელად არანს მიმწეულნი. ამეც დროს კი სიყალბე უფრო და უფრო წარმატებაში შედის და ალბად მომავლისათვის ეროვნებათა დამაკეშირებლად მიუშენეით იგი.

ნუ თუ ეს ყველაფერი დაუსჯელად გავრძელდება წუ თუ მართლ-მადიდებელ მღვდლებს მართლ-მადიდებელ მხარეში არ დააციონ მართლ-მადიდებლობასში

ამით თავდება ეს წერილი, რომელსაც ბოლოზე ხელს აწერს «ქართველი». მაგრამ ეს გულისწერომა და რულდება დამწერის ფინაობას კი არ მიეწერება, რასაკერძოვლია, არამედ იმ სამწუხარო მოვლენებს, რომლის მოწამე, როგორც სნანს, იგი ვაგნდარა. არამც თუ ქართველი, არამედ ყოველი ადამიანი აღელვდება ალბად ამგვარი ამბის გავრცელებაზე. ჩენი მხოლოდ ისდა გვიჩება, რომ მოვეუცადოთ კიდევ დაწერილებით ყველა ზემოხსენებული ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავებას! სწორედ სამართლიანია ზემოხსენებული წერილის დამწერის გოდება და წუხილი. მით უფრო სამამო არის ეს წუხილი და სარწმუნოების შემბლადლევი გარემოება, რომ ამას შეეყურებთ და ვისგენთ ამ მეცხრამეტე საუკუნეში.

### მიტროპოლიტი დავითი, მმართველი იმერეთის ეპარქიისა.

(გაგრძელება.)

ჩენი გამოცემის რამდენიმე ნომერში ჩენი ადენიშნეთ მოღვაწეობა, ნიკი და ზოგიერთი შესანიშნავი თვისება მიტროპოლიტის დავითისა. დღეს გვესურს მოუთხროთ მკითხველს მათი მეუფების სამსახურის უკანასკნელი დღენი და მათი გარდაცვალების ამბავი. 1829 წელში მიტროპოლიტი დავითი დანიშნა, როგორც წინეთაც მოიხსენიეთ, მარტვილის საეპარქიო დიდლო კათედრაზე, სადაც დარჩა ნიკოლოზ დანიანის გარდაცვალებამდის. შემდეგ მართებლობამ

დაუნიშნა მათ მეუფებას ათასი მანეთი ჰენსია და ჯრუჭის მონასტერში ცხოვრება. 1843 წელს გარდაიცვალა მალალ ყოვლად უსამღვდლოესი მთავარ-ეპისკოპოსი სოფრონი, რომელიც 1820 წელს რაჭილამ იქმნა ვადმოყვანილი ქუთათელის მაგიერ. მთავარ-ეპისკოპოსის სოფრონის მაგიერ დაინიშნა მიტროპოლიტი დავითი იპერეთის ეპარქიაში და ამ დროიდან 1852 წლამდე იგი მართადა იპერეთის ეპარქიას. სამოც-და-თორმეტი წლის მიტროპოლიტი დავითი კიდევ ძლიერ ჯანმრთელად იყო, მაგრამ ბოლო დროს მათ მეუფებას შეეჩვია სწეულება და ხშირად ცივდებოდა. ერთ შემადგომზე ხანგრძლივი აუღმყოფობის შემდეგ ჯრუჭის მონასტერში მოვიდა მათი მეუფება, და აქ, თითქმის, ორი თვე ოქტომბერი და ნოემბერი დარჩა. ჩვეულებრივად ადგა ხოლმე მოშებს თავზე და ყველას უჩრქვდა მუყააო. ბას და სასარგებლო შრომას...

ძველ დროში რძღენობა იკოდენ და ნამეტურ, როცა კაცს ნახავდენ მორჩენის შემდეგ, უთუოდ მაართმედენ რამეს. ამ ჩვეულების წინააღმდეგი არც მიტროპოლიტი იყო. ბერი მნახველები მიდოდენ მიტროპოლიტთან ჯრუჭის მონასტერში და, სხვათა შორის, კარგი ძღვენი მიუტანა და მოიკითხა ამ სტრიქონების დამწერის მამამ მღვდელმა ბ. — ძემ. არ შეგვიძლია არ მოუთხრათ მკითხველს ერთი შესანიშნავი ამბავი, ჩემი მამის ნამშობობი. განსვენებულმა მითხრა: «კაცის ხელით მივართეთ ერთი ჩაფი კარგი ღვინო, ერთი ცხვარი, ერთი ქათამი და სამი ცხრა პური. შემდეგ მივედი და ლოცვა-კურთხევა მივიღეთ. სიამოვნებით მივივილო და მალდობა გამოგიცხადა. ამ დროს აგი ბაბბის კარავში იღვა სოფლად, სადაც ნიგვზებს რეკდენ და აგროევიდენ. საილზე ყველანი მივივატიყა და ჩვეულებრივად შეისაიფობდა. მე ვკითხე, თუ რა აუთმყოფობით ბძანდებოდა ავთი. იმან მიბრძანა: ძლიერ აუთ ეიყავი და ამ აუთმყოფობაში ენახე ერთი სიზმარი, რომელიც კარგად მახსოვს და ჩემთვის გასაკვირველია.

— რა სიზმარი იყო, ბატონო, ვკითხე მე...

— აი რა სიზმარი ენახე, ბრძანა მან. მე ვითომ შემოასეს ყველა შესამოსლებით ჩვეულებრივად, ფეცაზე დამდევს და წაბილეს შორს. დიხანს მარონის და ბოლოს ერთი კაცის სახლთან მიმიყენეს, კარებში ვერ შევეყუე, ამასათვის კარები გამოკრეს და ბოლოს შემთანეს. გამაბილანეს იქილამ და წამიყენეს კიდევ სხვაკან და ამდროს გამამდელია კიდევ. ეს სიზმარი რაღაცა შესანიშნავი და ჩემთვის რაიმეს მომსწავებელი უნდა იყოს.

— კარგი სიზმარა, ბატონო, ღმერთთან კეთილად ავიხდინოსთ, მოეახსენე მე.

კოტა ხნის შემდეგ მიტროპოლიტი დაბრუნდა ქუთაისში. დეკემბრის თვეში, 1852 წელს მათი მეუფება წაბძანდა მარტვილში მისი ნათლის კუანდლის დამარხვზე დასასწრებლად. აქ მიტროპოლიტი გაცოყდა და ციება დააწყებინა. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ნაცვლად მისა, რომ თავი მოერჩინა, მიტროპოლიტმა მუშაობა არ შესწყვიტა და უარესათ შეიქნა, ასე რომ ლღვინათ ჩაწვა. ბოლოს მოიწვიეს ექიმო; ამ დროს მიტროპოლიტი ძლიერ ცუდს მდგომარეობაში იყო, მაგრამ რადან იგი ძლიერ ღონიერი და ტანმრთელი კაცი იყო, დიხანს ებრძოლა კაცის ტანის დამარღვევლ ძალას. როდესაც იკრძნო მოახლოება სიკვდილისა, მან დაიბარა გუბერნატორი. გუბერნატორი ამ დროს ქუთაისში არ ყოვილა, მაგრამ შეატყობინეს და ივიც მოვიდა მათი მეუფების სანახავად. გუბერნატორს თარჯიმნად ჰყავდა ამ დროს აწ. სპირიდონ მაკევიანიანი. სანამ გუბერნატორი მოვიდოდა, მიტროპოლიტი მოეწმხდა ამიერ ქვეყნიდამ განასსეღვლად. დაიბარა მოღვარი, ეზობარა და მოახდინა უკანასკნელი განკარგულება განსვენების დღისათვის. მოვიდა გუბერნატორი და შევიდა მიტროპოლიტის საწოლ ოთახში. მიილო ლოცვა-კურთხევა და დაბრძანდა მიტროპოლიტის ლღვიის ახლო. მიტროპოლიტმა დაიწყო: «მსურდა თქვენი ნახე და, მდღლობა ღმერთსა, კიდევ განხეთ



სიკვდილამდე. მე, ეს არის, გშორდებით ყველას. ღმერთმან გაკურთხოს ყველანი. გაბარებ ჩვენ ქვეყანას და ჩვენს ხალხს. ყოველთვის გახსოვდეს (უნებნა მალა თითით) ღმერთი და გეშინოდეს მისი. ჩვენს ხალხს კეთილის მეტი არა უქნა რა. თუ ჩვენი ქრისტიანული მოვალეობაა, რომ ბოროტისათვის კეთილი მივაგვით ყველას, კეთილის მყოფელთ ზომ, რასაკირველია, ყველა ვალდებულია კეთილი მივაგვოს.. ხალხს ნუ შეაწუხებთ და ნუ დაჩაგრავთ. იტოვებთ კარვალ, რომ დამჩაგრულთა და შეწუხებულთა მფარველი ღმერთი და იგი არ შეწყვეს დამნაშავეთს კუდს საქმეს. კაცი რომ თავშესაფარად მოგამოურებს, ვალდებული ხარ, გაუწიო მის ძმობა და არა მტრობა. ამ ნაირი ღარიგება დიდხანს გააგრძელა და ყველა ეს სიტყვები იყო წარმოთქმული იმ კაცისაგან, რომელიც, ის იყო, გახელდა აპირებდა ამ ქვეყნიდამ. ეხლა მშვიდობით, ბრძანა მიტროპოლიტმა. გთხოვ ეს ჩემი სიტყვები თქვენს შიდადღიერებასაც გადასცეთ. გუბერნატორი უკანასკნელად გამოეთხოვა და მოახსენა მიტროპოლიტს, რომ იგი ევლება მტკიცეთ აღასრულოს მისი ანდერძი და სხვენასაც ჩააგონოს იგივე. გუბერნატორი გამოვიდა თუ არა გარეთ, ერთ საათს არ გაუვლია, რომ მიტროპოლიტმა საუკუნოდ განისვენა 14 თებერვალს, 1853 წ., დღის ხუთს საათივდ, სპირტონ მიჰეარჩანთ, რომელიც მიტროპოლიტის სიტყვებს უთარგმნადა გუბერნატორის, გაკვირებული იყო მათი მუღუფების ამ შესანიშნავი ანდერძით. სიტყვები მიტროპოლიტისა, სთქვა სპ. მაჰეარჩანმა, მრავალწინშენილოვანნი იყვნენ და აღვილად მიხედებოდა კაცი იმ ცუცხლს, რომელიც აღზნებული იყო მათი მუღუფების გულში გუბერნატორთან საუბრობის დროსო. მაგრამ დაღდა გული, განშორდა სული და ერთი საათის წინ გვირგვინი ქვეყნისა ო ლეთის ქმნილებათა მიწით იქცა და ის ძალა სულისა და გულისა დარჩა ხალხის სსოენასა და მოგონებაში, რომელიც კიდევ ძლიერია და პატივსაცემი ყველასაგან.

(დასასრული შემდეგში)

### მწარე ფიქრები.

რომელმან სიტყვა ნათელსა შინა ყოლა, და შმა თვისი სძულდეს: იგი ბნელსა შინა არს ვიდრე აქამომდე, ხოლო რომელსა უყვარდეს შმა თვისი, იგი ნათელსა შინა არს... ხოლო რომელსა სძულდეს შმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს, და ბნელსა შინა ვალს, და არა იცის, სადა ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრუნა თვალნი მისნი. (ა ევისტოლე იოანნესი თ. 2, მუხ. 9—12).

ხოლო შური მწარე გაქვინდეს და ხლომა გულთა შინა თქვენთა, ნუ იქალით და სტყუებით ჭეშმარიტებასა ზედა. არა არს ესე სიბრძნე ზეადმოსული, არამედ ქვეყნიერი მშვენიერი და საეშვაკოი. რამეთუ სადა არს შური და ზღობა, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე (ევისტოლე იაკობისა) თ. 3 მუხ. 15—16).

ამ წლის «კვალის» 1-დ ნომერში ბ. სილოვანის ერთი შესანიშნავი დიქსი იყო. ეს დიქსი მით იყო შესანიშნავი, რომ იგი დაფუძნებულია ზემოთ ხსენებული მოკიქუდის სწავლამოდგვრებაზე. აი ზოგიერთი ადგილები ამ დიქსისა :

ვინც მამულის სიყვარულში ბევრჯედ ცხელი ოფილი დვარა, ვისაც მოამის სვეზე ფიქრში ტანჯვით შუბლი დაეღვარა, შეცდეს რამე—ნუ თუ წამსვე დაგვრათ ბუკი და ნაღარა, ვუწუთთ კბენა, კიცვა დევნა?!

—  
 არა, ძმებო; ხორციელი არავინ არს შეუმცდარი.

—  
 ქრისტეს სწავლით გვმართებს დაეთმოთ მტრის ურიცხვი შეცოდება— ჩვენ კი ხშირად მოყვარევა ერთჯერ აღარ გვეცოდება!..

საქართველო  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

ამით გული ეკიდება,—  
მტერი გვიცემის და იცინის  
ჩვენ დაძობას ელოდება..  
მოკვარეს კი შევტოვებო  
გაუსწორათ ძიურათ, ამით  
და მით ბნელი გავინათოთ,  
არც თუ დღეც დავიდამოთ..

სწორეთ სასურველია, რომ ამისთანა და-  
მოკიდებულება დამარდეს ჩვენში ჩვენს ქურნად-  
გაზეთებში. მარტლბა, რა არის ამოდენი გადამტე-  
რება, ამოდენი კიცხვა-გინება და ისიც ბეჭედიით  
სიტყვით? ნათქვამია გულით გული მოიგებისო,  
გრძნობა გრძნობას გამოაწვევსო. ამ ახალი  
წლიდამ მოველოდით, რომ «ივერია» თავის და-  
სწებებდა გაზეთების და კერძო მუშაეთა კიცხვა  
ლანძღვას, მაგრამ ძლიერ მოვსტყუვდით. ილი-  
ამ თავის გაზეთით მინც კიდე გამოიფარა  
«გაფთა»-ს წინააღმდეგ. სადღა ძიობა, ერთობა,  
მოკვასის სიყვარული, კაცის დაფასება? ერთი  
სიტყვით „კვადი“ და მისი თანამშრომლები  
ისეთი მანქანები უთფილან, „ივერიის“ სიტ-  
ყვით, რომ მეტი ადარ შეიძლება!.. შერიგება  
რას მიქვს? „ივერია“ შირ და-პირი რას უტყვადებს,  
მაგრამ იცით, რა ოსტატურად, რა ჯამბაზურად  
არის დაწერალი ეს სტატია!

ჩვენ ვიცნობთ ერთ კაცს, რომელიც საო-  
ცარი ჯამბაზობით გამოილამკრებს ხოლმე თა-  
ვისს მოწინააღმდეგეზე. როდესაც ამ კაცზე საწერენ  
რასმეს, მაშინ იგი გაუჩნდება. კარგად იცის,  
რომ ძნელი მოსახერხებელია შასუნი თავისს  
გასამართლებლად. ის გაჩუმებული და გასუდ-  
რულია, მაგრამ თავის მოწინააღმდეგეს ჯერ  
მიუხედავთ თავის თარეშებს და რამდენიცა სურს,  
იმდენს აღაზრდებებს მოწინააღმდეგებს. თვი-  
თონ კი ხმაპალია გაიპანის; მე არ ვიცი, რას,  
სწერართო!.. თუ თვითონ გამოვიდა სტესაზე სა-  
დასარსად, მაშინ უთუოდ სხვებისთვის გამო-  
იღებს თავს და ვითომ მათთვის ქომავლბს. აი,  
მაშინ უნდა დააკვირდე, რამდენ ტყუილწამალს  
დახარჯავს მკითხველისათვის სულ უბრალოდ,  
სულ უადგილოდ და უკენიშენლოდ, მაგრამ

თავისს სასარგებლოდ. რასაკვირველის, თავის  
ახირებული მიზნის მისაღწევად..

ამ დროს ეს კაცი, სხვის შესწავლად, თა-  
ვისს მტერსაც კი იცავს, მაგრამ ვაი იმისთანა  
დაცვას! სწორეთ ამ ნაირის საქციელი „მივიწ-  
ყებული მწერლისა“ „ივერია“-ში. შავიწებულ  
მწერალი მოთმინებდამ არის გამოსული, ვითომ,  
და ბ. ჯახადაღის გულისათვის! მაგრამ ჯახა-  
დაღს რას დაძებებს ეს დარბაისელი მწერალი  
ის აღესილია „კვადზე“, გ. წ—ზე, და ი. მ—ზედ.  
საზოგადოებას დაავიწყდა ის, რასაც წინეთ  
სწერდენ ან. გ. წ., ან ი. მ—ზე. შავიწებულ  
მწერალს ხელახლად სურს გააგებინოს საზოგა-  
დოებას უცვლა ისეები, მაგრამ როგორ მოახერ-  
ხოს ეს? ხომ დოკუვასავით ვერ გაიმორებს  
გაზეთში ერთსა და იგივეს ოცჯერ. იდებს კა-  
ლამს ხელში და ვითომ მათთვის თავგამოდებუ-  
ლი სწერს იმას, რის თქმასაც სხვა არაფერ  
უნებდა.. ი. მ—ზე რა საჭირო იყო ესღა  
ამაების შესახებ წერა? ი. მ—ლისათვის არაფე-  
რია და თვითომ მივიწყებული მწერლისათვის  
კი ფრიალ საჭიროა, ვინაიდან კანკაბა არის  
მოახლოვებული და ამაების წერა ხელს შეუწე-  
ვობს ერთ ვისმეს. გ. წ—ზე რადა საჭირო იყო  
ამდენი ლანძღვა!..

ამ ბოლო დროს, „კვადი“ რადაცა სანტერესო  
საკითხავ გაზეთად ხდება და სამდურავი ისმის  
„ივერიაზე“ და ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, მი-  
ვიწყებულ მწერალს ჭკეპში არ მოდის, და  
ამისათვის ატყნა ამდენი ლანძღვა-გინება..

ნუ თუ ჩვენი საზოგადოება იმდენად უვიცია,  
რომ ვერ მიხვდება შავიწებულ მწერალს სტატუ-  
ების სიყალბეს-უკუდმართობას? მაგრამ ამ შემ-  
თხვევაში თვალებს უნევს და შევსტოვებო მეჭ-  
ყავს მკითხველი მწერლის ნიღაბ-ჩამოფარულო-  
ბას; ჩამოხადეთ მივიწყებულს მწერალს ნიღაბი  
და თქვენთვის საჭირო ადარ იქნება შასუსის  
კითხვა.. მრავალჯერ გვითქვამს და კიდეც ვიტ-  
ყვით, რომ საჭიროა ნიღაბი ჩამოვხადეთ ზო-  
გიერთ ვაჭბატონებს და მრავალ უნიავ უსევდო-



ნიმებს, რომ განვთავისუფლდეთ მათი პასუხის გებისაგან. როცა ეს ნიდაბ-ჩამოფარებული პირნი თავისი დამტკიცებული ფირსებით დაენახებიან მკითხველ საზოგადოებას, მაშინ მათ საპასუხოდ სიტყვის თქმა საჭირო აღარ იქნება. მკითხველი თავის-თავად მიხვდება მათ უკუდმართობას შენ უპასუხოდაც. გამოდის ერთი ვინმე საცოდავი ქურდი, სვინიდისზე და პატიოსანებაზე ხელ ადებუელი, იდებს კაღამს ხედიში და ზნეობას გიკადაგებს!!... ერთი ჰკითხეთ, იცის მან, თუ რა არის ზნეობა, სასმელია თუ საჭმელი?! დიას, დროა საზოგადოებამ უკრადება მიაკციოს ამ სამწუხარო მოვლენას და რედაქტორებიც ნებას არ უნდა აძლევდენ, რომ კაცის დირსება შეურაცხველ ხოლმე უზნეო და უსაქციელი პირებმა თავიანთი პსევდონიმების წყალობით... მაგრამ, ვაი, თუ თვითონ რედაქტორებიც გამოდიან ხოლმე ნიდაბ-ჩამოფარებულნი და თავისუფლად იფიანდებიან მარცხნივ და მარჯვნივ!...

სოფლის მღვდელი.

სოსნიკო კახიშაშვილი.


(ნამდვილი შემთხვევა 1892 წელს სოფლის მღვდლის დროს)

(დასასრული \*)

V

დადგა მეორე საღამო ტურფა და სააშურია, სოფელს დღიური ეარმიოთა დალაღულს ძილი სწყურია. მოიკცა ძილმა სოფელი, გამეფლა სირიუმე მკვლარი, რომელს ხან-და-ხან არღვევდა ქოტის ხმა გულის შემზარი. ეაკე აღვილზედ მდებარეს ძველას ჩასძინებია,

მის ყველოვანს ბაღებსა ცით მოეარე დასჩერებია, გვერდს ჩამოურბის ლიხეი ცელქი, ჩქარი და ანკარა, და მის ზვირთებში ინატრის ცის მოწყენილი კამარა. ღრუფანში სწევს სოსიკო, და მოეარეს შესჩერებია, კი ხანია, რაც დაწვა, მაგრამ არ დასძინებია. მოეარე სოსიკოს თვის შუქით სახეზედ ელამუნება, მაგრამ სოსიკოს ამ დროსა შესუთული აქვს გუნება, შფოთავს, ტრიალებს და ოხრავს, გვერდიდან გვერდზედ ბრუნდება; შიშით თრთის, რალაც საშინელს მომავალს მოელოდება... იმის ღელა—მას იქვე ტბილად ძინავს და ხერინავენ, კრთებიან ძილში, ისინი, სჩანს, რალაც სიხმრებს ხელავენ. —«ღელილო!»—სსოო ეძახის— გამოახილე თვალები. ეატყობ იმ წყეულ ხოლერას მე აქ ვერ დავემალები!» —«რას ამბობ, შეილო, რას ბოდავ, იმისგან ჯგერი გწყრია! ის იქ წაბრძანდეს, სად ცხოვრობს შენი ღუმანი მტერია». —«ღელილო, თუ ავად გავხვდე, ეენახში წამიყვანეთო, საზიარებლად იმ წუთსვე მოძღვარი მომიყვანეთო... ეენახში ამალამდე ღრმად ხელთავი გამითხარეთო, თუ მოკვდე, იქვე დამარხეთ, გულს მიწა დამაყრეთ... ორიოდ კვირა ეენახში თქვენ იითონ გაატარეთო და ამით სენი წყეული სოფელსა ააშორეთო. ეს არას ჩემი ანდერძი,



ჩემო მშობელო, დედაო...  
 თუ არ იქმთ ისე, ძვეერას  
 ხოლოვრა მოედებოა...  
 მაშინ სოფელი დმწყველის,  
 ჩემს სახელს შეაჩვენებოა  
 და საციცხავად ამ სახელს  
 გადასცემა შეილი-შვილებო...  
 თუ ამისრულებთ ანდერძსა,  
 არაიენ დაშენდურებო,  
 და ჩემის აპმის მოსმენით  
 ბევრს ცრემლიც მოედებოა  
 მართლაც სოსიკოს ამ დროსა  
 ეტკინა ძრეელ თავია,  
 გულ-მუცელს ცეცხლი მოედო,  
 ასაქმებს საცოდავია...  
 ხოლორა შეხვდა... შეშინდა  
 მშობელი და ღერის ცრემლებსა,  
 აღვიძებს შეილსა, და ესეც  
 მარხილში აბავს ხარებსა.  
 ტკიბილს ძილს მოუტაცეს ძვერა  
 და არის მოსვენებაში;  
 თაე-დადებული სოფლისთვის  
 მარხილით მიჭყაეთ ევენაში...

VI

იქ ძლივს იძახის გამშორდით,  
 წადით აქედგან ჩქარაო,  
 რაც რომა ჩემთვის იზრუნეთ,  
 გმადლობთ, ისიცა კმარაო.  
 სიკვდილი მოდის შეგ-ბნელი,  
 ევლარ მოერჩებო მე ვერა...  
 დმერთო! დაისხენ სენისგან  
 ჩემი სოფელი ძვერა.  
 თან ამას ეწუხებარ, მე ევლარ,  
 მომისწრებს ჩემი მოძღვარი;  
 სიპართლე მიმდევს იქ სოფელს,  
 ჩემი ნუგეზიც ეს არი!  
 ეს სთქვა სოსიკომ და მართლაც  
 პალე დაბუჭა თვალები.  
 გამტერდნენ დედა და ძმაი  
 სეული გულ განამსჭვადები.  
 მთვარეც შესწუხდა, პირს შავი  
 გადაიფარა ღრუბლები,

მოჭებრა ქარმან ძლიერმან,  
 და შეარხია ფოთოლები,  
 თითქოს შაშინით გლოვობდნენ  
 სოსოს გულ-გაბასრულები...  
 კოტმეც უმატა ძახილსა,  
 თითქოს მიცელოლსა სტიროლა:  
 მისი ხმა გლოვის ზარივით  
 სოფელსა ევენებოდა.

VII

გათუნდა დილა, საფლავთან  
 ზის დედა მოხუცებული,  
 ტირილსაც ევლარ ახერხებს  
 ნადღით ცრემლ-გამოღებული.  
 მსგეც ამოვიდა, თვის სხიენი  
 მოჭკინა არე-მარესა  
 და შენათა მოხუცს  
 მწუხარე მგლოვარესა.  
 ადგა მოხუცი გივივით  
 დაემზო შეილის სამარეს,  
 ზედ ახლის თავსა საბრალო,  
 ზედ აფრქვევს ცრემლსა მღელღარეს.  
 — ღეინ იუიქრება, სოსიკო,  
 თუ აგრე მომიკედებოდი?  
 შენ შეგხაროდი მოხუცი,  
 შენგან დამარხვას ევლოდი!  
 ეით მოეინელო ეს დარი,  
 გულის გამაპობი შუაზედ...  
 რითი ეიცოცხოო ეულმა  
 როგორ ვიარო მიწაზედ?  
 ოხ! ნეტაე ამაე წუთშია  
 მომაკლდენ ტანში ძალები,  
 გულმა შეაწყვიტოს თვის ძვერა,  
 დაბნელდნენ ჩემა თვალები!  
 ძვირჯუსო შეილო, მდებარე  
 საფლავში გაციეებული,  
 არ გესმის დედის ტირილი  
 ნადღელთა შეზავებული.  
 შეილო! გამაგებრენ მატლები,  
 შეგძამენ მიწის ქიები,  
 ევლარას გარგებს ტირილი,  
 ვერც გიხსნის ჩემი ცრემლები!

მოკვდები, წაელ იმ სოფელს  
 ბელისა დაპყვეარი,  
 იქ განახვ, შეილო, იმ სოფელს,  
 ჩემი ნუკეში ეს არის!

VIII

სალამოს ხანსა შვეროელა  
 საყდარში მთელი სოფელი,  
 პანაშვილისა სახელად  
 მან მოიწვია თვისს მღვდელი.  
 ერთბაშად მთელი სოფელი  
 იძახდა ხელ-ღაპრობილი:

«ღმერთო! აცხოენე იმ სოფელს  
 სოსიკო კენწუაშვილის!»  
 ენაც გაიგო სოსიკოს  
 თავ-გაწირვისა ამბავი,  
 შეუთვალა მას შენდობა,  
 გულით იტრია ბუღ-შავი.  
 აშორდა მართლაც ძვეერას  
 მის თავ-გაწირვით ხოლერას...  
 სოფელში ძველი დაუღვა,  
 ზედ ეს სიტყვები დასწერა:  
 «გარდაცემა იმისი  
 სახელი ჩამამაელობას,  
 ენც მსხვერპლად შეეწირების  
 სოფლისა კეთილ-ღღერას!».

ი. ს. ს. ს.

1895 წ. იანვარს

გეოგრაფიული მასალები იმართის მაისის  
 კოსის ზაგრაძის ისტორიისათვის.

ყოვლად სამდგელო ვაბრიელის მოკონებიდან.

\*)

სასწავლებელში მყოფობის დროს მხოლოდ,  
 ერთხელ მელირსა თბილისიდან ჩემს სოფელში  
 ჩამოსვლა. მამ ჩემი ამ დროს ძლიერ მოხუ-  
 ცებული იყო, მაგრამ მხნეთ კი იყო. რადგან  
 ჯანმრთელიად ვიყავი, მამამ დამაწყებინა მუშაო-  
 ბა. მათონიებდა ენას და ბოსტანს. ძლიერ სა-  
 სიამოვნოდ მიანდა მას ჩემი სიარული ტაძარში.  
 ერთმა ჩემმა უწინდელმა მეგობარმა, მეზობელ-  
 მა გუცხმა, ჩემმა მეტოლემ, რომელიც ძლიერ  
 ჯანმრთელი იყო, მომინახულა, მოიგონა ბავშო-  
 ბის დროს ჩვენი ჭიდაობა და ესლაც დამე-  
 ჭიდა. მამ ჩემს მეტის მეტი სიცილი აუტუდა,  
 როცა დაინახა, რომ მე მოვიერე ჩემს მეგობარს,  
 რომელიც თავს იმით იმართლებდა, რომ იგი  
 საზრდოებს ჭადით, დამით და ღობიოთ და  
 არა შერით, როგორც მე. «მერამ შენ ადვილ-  
 ზე ვიყო, სთქვა მან, მაშინ დაინახავი, ვინ ვის  
 მოეროდება.» ეს უკანასკნელად ვნახე მამ ჩემი.  
 სემინარიის ერთმა კეთილმა მასწავლებელმა  
 მე შეტერბურგის სემინარიაში გადამიყვანა და ამ  
 სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ მე შე-  
 ვედი შეტერბურგის სასულიერო აკადემიაში,  
 სადაც, დეითს შემწეობით, კარგადაც ვსწავლობ-  
 დი და სასურველი განწყობილებაც მქონდა ამ-  
 ხანავობასთან, რომელთაგან ბევრნი ღღერისაც  
 სცხოვრებენ და ნაყოფიერად მოდგეწობენ. ეს-  
 ლაუც სიხარულით მოვიგონებ ხოლმე ამხანაგ-  
 სტუდენტების წრეს, სადაც მედამ იმაზე გვქონ-  
 და ბასი, რომ თუ აკადემიაში სწავლის დამთავ-  
 რების ადრე არა, კურსის გათავების შემდეგ  
 მაინც მაშინვე შევდგეობადით საღვთო სწავლ-  
 განათლების გავრცელების საქმეს.

შეტერბურგში მყოფობის დროს მე სხვა  
 კერძო შირებ შორის ძლიერ დაუხსლოვდი  
 საქართველოს ბატონის შვილს მიხედოს. იგი

\*) ახილე «მწმში» № 3, 1896 წ.

ფრიად განათლებული გაცი იყო. უმეტესად იგი ფილოსოფიურ საგნებს კითხველობდა. ბატონის შვილი მიხეილი ნივთიერად უწრუნველყოფილი იყო, მაგრამ თავის თავზე ძლიერ ცოტას ხარჯავდა, უმეტესად საწულებს ეყვებოდა. მის უსაყვარელეს მეცადინეობას შეადგენდა, წიგნების კითხვის გარდა, ფილოსოფიურ საგნებზე სჯა და ბასი. ბატონიშვილის მიზაძვით მეც ბეჯითად მოკვადე ხელი ფილოსოფიური საგნების შესწავლას, ვინაიდან თვითონ აკადე მიაში ძლიერ ცუდათ მიდიოდა ამ საგნების სწავლედა. ხსენებული საგნების მასწავლეობად იყო ერთი ვიდავა ნემეტი, რომლის გვარი ეწ. ღა აღარც კი მახსოვს.

წერილები და მიწერ-მოწერები ეოვლად სამ-ღვდელა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა სსხვა-და-სხვა პირებთან და დაწესებულებებთან.

წერილი ს. ნ. მუჩაიკისა, 9 თებერ. 1871 წ.

ყოვლად უსამღვდელოესო მეთეფო!

თუმა მე პირად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ ალბად თქვენი მეთეფება მიცნობს მე ჩემი ლიტერატურული სასულიერო შინაარსის ნაშრომით; მე ჩემის მხრით დიდის სიხარულით წავიკითხე «მართლმადიდებელ მიმოხილვაში» თქვენი მისიონერული მიზნით მოგზაურობა აფხაზეში და ამ თქვენი მოგზაურობის წაითხვამ აღვიპრა სურვილი, რომ წერილობით გამოემეცხადებია თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა, რომელსაც მე იმ დღიდან თქვენდამი ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ენახე 1847 წელში დაბოლოს ელირსა ისეთ განმანათლებელს, რომელსაც როგორც ადგილობრით მკვიდრს, უფრო სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინმე ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ

გზანიდენ ხოლმე აფხაზეთში. გაცოცხლდა ხელონლად ძველი ბიჭინტა და განახლდება ეკკლესია სიმონ კანანელისა, ღრანდის მონასტერი და სხვა მრავალი ვაოხრებული ეკკლესიები. ნეტავი აპარა და ახალციხის მხარეც, სადაც ადგილობრით ქართველები დიდის ერთგულებით აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას ეხლაც კი, როცა ეს მხარეები რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან, ელირსებოდენ თქვენისთანა მქსადებელს, როგორსაც ელირსა აფხაზეთი, რომელიც თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიას არც კი ეკუთვნის.

თქვენ ალბად წაითხული გეყვებათ აღწერა საქართველოსი, სომხეთის და ერცელი აღწერილობა გელათისა ჩემშიერ. ამის შემდეგ მოტაცებულ იქმნენ გელათიდან ძვირფასი ხატები. ფრიად მსურს შევეტყო, ნახეს თუ არა ხახულის და ბიჭინტის ხატები, რომელნიც საქართველოს საუკეთესო განძს შეადგენენ. ხელ უხლებელია თუ არა საღორაში ბაგრატის გვირგვინი და ბეჭედი დავითისა? ამასთანავე ძლიერ მსურს მოვაპოვო ფოტოგრაფიული სახე ლთის-შმოზლისა, რომელიც გელათის ტაძრის საკურთხეველშია ხოცრად დანატული. ძლიერ მასიამოვნებთ, თუ ასეთ ფოტოგრაფიულ სახეს გამომიგზავნით და მასთან მაცნობებთ ყოველივეს იმ დაკარგული ხატების შესახებაც. მე დამეძებული ვარ, რომ თქვენ უპასუხოდ არ დასტოვებთ ჩემს წერილს.

დაეშობი იქვენი მეთეფების სრული პატივისცემელი უმორჩილესი მოსამხატურე..

ამ წერილზე მათი მეთეფების ხელით აწერია: «1871 წელს, 10 მარტს. მასუხა მეთეფ.»

წერილი გიორგი კლასტოკისა 18 აგტ. 1888 წ.

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობა,

მოწყალეო მამა და მწყემსთ-მთავარო!

მოვიგონებ რა წარსულ წლებს, როცა მე და ჩემი მეთეფულე (ჩემ გუბერნატორად მყოფობის დროს ქუთაისში), სულიერად ენარობდით, როცა თქვენ მე-



უფლებას შეეზღუდავდა და გეზანსებლით ხოლომე, — უფლებელი ჩვენ განსაკუთრებული სიყვარულით და უზრადლებით წაგვიკითხავით თქვენს შესანიშნავს სიტყვას, რომელიც თქვენ გითქვამთ მათ იმპერატორებით უღიდებულესობათა და მათ უფეუსტოვს შეღებთან მიკვების დროს, როცა მათი უღიდებულესობანი ქუთაისში მობრძანდნ.

უნდა გამოუყვე, რომ მე ძვირად წამიკითხავს ასეთი შესანიშნავი სიტყვა, საცხე ახრით და ძლიერი გამოთქმით, რომელშიაც მკირეოდენი სიტყვებით ასე ცხადად იხატებოდა წარსული, აწმყო და რმდენათმე მომავალი იმ ხალხისა, რომელიც ჩვენი თანამორწმუნეა და ჩვენთან ერთად დაახლოებული გულისით. რუსს არ შეუძლია სსსხიარულიოდ არ დაჩრეს, როცა იგი ზედადს, რომ საუკეთესოა შეიღნი მართლ-მადიდებლობის და საქართველოისა სწორეთ იმზე უთითებენ, რაც შედგენს რუსეთის უმთავრეს ლაწულს და სიამაყეს და სახელდობრ თქვენივე სიტყვებით ეიტყვიეთ, — რომ რუსეთის სახელმწიფოაში ყველა ქვეშევრდომნი ხალხისნობისა და სარწმუნოების განურჩევლად სცხოვრობენ ერთსა და იმავე სამართლიან კანონებ ქვეშე, აქვით ერთი და იგივე უფლებანი, როდესაც სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც ღიდი განათლებით კიდევ მედიდურობენ, ქვეშევრდომთა თანასწორობა მხოლოდ ქალღღმე არსებობს, სარწმუნოების შეწყნარება არსებობს მხოლოდ მათთვის, რომელთაც ღმერთი არა სწამთ და მართლ-მადიდებელთ კი ხშირად ამაზე უარს ეუბნებიან.

ვევედრებით ღმერთსა, როგორც ქეშმარტი რუსნი, რომ რუსეთმა თავისს მმართველობის დროს განახლოვლოს ღმერთის სიმათლევ და ქეშმარტება, ვინაღდგან მხოლოდ ქეშმარტება მოგვანიჭებს ბუნეირებას.

როცა მათ იმპერატორებით უღიდებულესობათ მემკიდრე ცესარევიჩით და უფეუსტოვსი მისი ძმით კავკასიაში წამობრძანება განიზრახეს, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ მოგზაურობის დროს დაუეიწვარ შთაბეკილებას მოახდენდა მათ უღიდებულესობათა ზედა როგორც ხალხი თავისი გრძნობით,

იხე, იხე საქართველოს სიმშენიერე და მრავალი შესანიშნავი ჰირნი თავისი მიგებებით მათ უღიდებულესობათაში.

თქვენი მეუფების სიტყვაში, რომელიც ნათქვამია მათ უღიდებულესობათა კავკასიიადამ გამოზრუნების დროს, თითქმის აღბეკილია შთაბეკილება ხალხისა, რომელიც აცილებდა რუსეთის მეუფს, რომლის დიდ და კეთილ-შობლიურს გულში იხატება იველურა გრძნობანი მთელი რუსეთის ხალხისა. ღმერთი წინამძღერობს ხალხთა, მათი მომავალი ღმერთს ნებაზეა დამოკიდებული; მაგრამ შეიძლება, ვეზდაეთ ვსთქვათ, რომ უფვალს ნებადა, რათა აღმოსავლეთის ხალხთა ზედა ზრუნევა შთაბარებოდა რუსეთსა და მის მეფეებს.

ვანდობ რა ჩემს თავს თქვენს წმიდა ღმერთსა და გამოვითხოვ რა თქვენს მწყემს-მთავრულ კურთხევას, ვთხოვთ მიიღოთ ჩემ გულწრფელ გრძნობათა განიხატება და ერთგულება

თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის მორჩილია მონა...

წერილი უგანთლეზულესის თ. გ. დადაიანას.

ყოვლად უსამღვდელოესა მეუფეა, საყვარელა მეგობარო!

დიდად ვსწუხებარ, რომ შენი ამაზე ვერ შევტყვევებ ვაგონებით ვიცი, რომ ბორჯომს ყოფილხარ და იქილამ გელათს ჩამოსულხარ. ეს ამას უნდა ნიშნავდეს, რომ შენ კარგად ხარ. ღმერთმა ინებოს! ღმერთმა ქნას, რომ ჩვენს ეკკლესიას ჯერ კიდევ დიდხანს არ მოკლებოდეს შენი სამსახური და შენ ყოფილიყო, როგორც ენლამდის იყავი, კაცი დამამშენებელი მთელის ჩვენის ერისა. თუ არის საღმე მღვდელთ-მთავარი, რომელსაც ეთქმის, ჟესრეთ ბრწყინვდენ ნათელი შენი წინაშე კაცთა: ერთი იმათგანი შენა ხარ. გისაროდენ!

შენის ხელით დაწერილი ბარათით. დამლოცეთ

შენი . . . . . გრიგოლ.



### ყოვლად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსის კაბრიელის კარდაცვალებისა გამო.

იმ უბედურ დროს, როს იმერეთი მოაკადა კეთლ სამღვდელთაგანს, როს ეგლარ სტერეტა თვისდა მუჟუფელ ქუთაისელებრივ მწყემს სათნოებას; რას არ ესმოდა მისებრ ყოველ დღე ქრისტიანობრივ ყოფა-ცხოვრებას, როს აღარ ჰქონდა მისებრ ქადაგით შესისხსნობრივ ქრისტიკის მცნება; როს ამ მახვებით სარწმუნოებაც იმერეთშია ნელ-ნელ ჰქარბოდა—ზარაენდელათ ბეჯკურულ ქვეყანას შენებრივ კაცი ევლინებოდა!..

მოველინე და, რა ნახი სამწყსო უკიდურესსა მდგომარებაში, ეგ მტკაცე სათნო ქრისტობრივ გული ვადაღმე მათდა შემცნებაში, როგორც მხნე მწყემსი უშიშრათ ერში ვიღარი, სამწყსოს უქადაგებდი, სიტუდეს ყველას ჰჭრს ამხილებდი, ქრისტეს კეთილს გზას მათ აყენებდი, სარწმუნოებაც თან-და-თანობით ნაყოფიერად ითესებოდა

და დაცემული სამღვდელთაგან შერთ ყველანი ფესხელ დგებოდა, და ამ ნაირი შებრძოლებითა იმ თქვენს კეთილსა დანიშნულებას ეჭა, მოცნართ!.. და კიდევ მორჩით ამ ქვეყნათ გულის ქერჯნა—წყლულდებას!..

ჩენო კეთილო მწყემსო მამაო! ნეტარი ხარ, რომ ამ ქვეყნის ვალი შეასრულე და დავგებოვე გაწოდლული გზა, ნატყენი კვალი!..

ლ. იშვილი.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

რუსეთში ამ წამად 10 უნივერსიტეტია, რომელნიც მოსწავლეთა რაოდენობით ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მოსკოვის უნივერსიტეტში—3,888 სტუდენტი; კიევისაში—2,244, პეტერბურგისაში—2,225, პელსინგფორსისაში—1375, იურეივისაში (დერპტ)—1650, ვარშავისაში—1335. ხარკოვისაში 1200, ყაზანისაში 825, ოდესისაში 555 და ტომსკისაში 405; ამ რიგად საერთო სტუდენტთა რიცხვი—16,202-ია, მაშინ, როდესაც ოთხსასულიერო აკადემიაში (კიევისა, მოსკოვისა, ყაზანისა და პეტერბურგისა) მოსწავლეთა საერთო რიხვი 800-მდე ძლივს უწყევს.

მართებლობის განკარგულებით დაარსდა დ. ყუბირილაში კომიტეტი რღწერობით და თოვლით დაზარალებულთა დახმარებლად. ეს კომიტეტი შესდგება მასრის უფროსის ლ. ტ. ჯაყელის თავმჯდომარეობით, ადვოკატობრივი დეკ. დ. ლამბაშიძის და თ. ლ. დაღმეყელიანისაგან. სხვენებულმა კომიტეტმა მოიწვია პრაფლო საიმელო პირები ფულუმბის შეწირულებს შესაკრებლად. ძლიერ დაზიანებულთა ენლავე დაუნიშნა ფულით შემწეობა. იმედი არის, ყველანი აღმოუჩენენ დახმარებას იმ საცუდაეთა, რომელნიც ასე დაზარალდენ მოულოდნელად.

შორაპნის მასრაში თოვლი ჯერეთ დიდა, და რაღან ყინევი დაიჭრა, გვერონია, რომ აპრილის დამლევამდე არ დღეს.

გარდაწყვეტილია, რომ განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსი გელათის უმთავრეს ტაძარში უნდა დასაფლავდეს 10 მარტს. ამ დღისათვის ორი-სამი მატარებელია დანიშნული ქუთაისიდან გელათის სადგურამდე.

უქმ. სინოდთან დაარსებული საბჭოსაგან მოვიდა უკვე გარდაწყვეტილება ორ კლასიანი სასწავლებლების გახსნისა იქ, სადაც შენობები მზათ არიან, ანუ სადაც შიძობება დაქირაება. სწავლა დაწყება სექტემბრიდან 1896 წლისა.



# სწავლა და მიყენიერება ქრისტიანობაში და კეთილშენობაში.

ასრი და გრძობანი.

გზა სხობამისა (წმ. კასილი დღას)

ქვენიერ ცხოვრებას გზას ემსიან, ვინაიდან თითოეული დაბადებულთაგანი მიეჩქნება აღსასრულისაკენ. როგორც სოლმდსე მსხდომნი უჯაფურად მიეშურებიან ქარის შემწეობით ნათესადგურისაკენ და თვითონ ვერც კი ნიშენენ ამას, თუმცა სოლმადის მოძრაობა უსწლოებს მათ მიხანს, ამჟე სხით ჩვენც მიმდინარე დროსთან ერთად რადცა შეუნიშნავად მივიღებთ აღსასრულისაკენ. მაგალითად, ჩვენ ვეძინავს, სოლო დრო კი ვარბის; ჩვენ ვფხისლობთ, სოლო ჩვენი სიცოცხლე მოკლდება. ეველ ჩვენ, ქვენიერი, გზაში ვიძიოფებით, ეველა ჩვენგანი მოღვაწეობს თავისს ასწარესზე, და თითოეული ჩვენგანი მიესწრაფება თავისი მიხნისადმი: ეოველივე ჩვენს მასლობლად მიმოვალს, ეოველივე ჩვენს უგან ჩჩება. შენ კაცო, გზაში სედავ მცენარეს, ბალასს, წვალს, ანუ სხვა რამეს, რაც შენთვის საურადღებობა, — რამდენიმე ხანს ისიამოვნე და გასწიე; შენ წინ ევებება ნაწარლნი, ციცაბოები, კლდეები, მტაცებელი მსეცები, ქვეწარმავალნი, ეკლები, და სხვა მრავალი არა სანსიამოვნო სანასაეები; — ცოტა ოდნად შეეაწუნა ამ სანასაეებმა და შენც მიატოვე ივინი, ასეთივეა ცხოვრება: მას არა აქვს არც მუდმივი სიამოვნება და არც ხანგრძლივი მშუხარებანი. ეს გზა შენი

საკუთრება არაა, და არც ამწეოა შენი. დღეს შენ მუშაობ მიწას, სვალ სხვა იმუშავეს, სოლო შემდეგ კიდევ სხვა. სომ სედავ მინდვრებს და მძეწნიერ შენობებს? ესლა წარმოიდგინე, თუ თითოეულმა მთავანმა თავისს არსებობის განმავლობაში რამდენ გზის ეამოიცვალა სხელები! გუშინ რომ ერთ კაცს ეკუთვნოდა, დღეს სულ სხვას ეკუთვნის; ახალი ჰატრონის სელში გადავიდა, სოლო დღეს კი სულ სხვა კაცის საკუთრებას შეედგინს. ამ სხით განა ჩვენი ცხოვრება გზა არ არის, რომელსედაც ხან ერთი მიეგზავრება და ხან მეორე და რომელსედაც ერთი მეორეს მიჰევება? არსებობთად რა შეადგენს ჩვენს საკუთრებას? ჩვენი საკუთრებაა სული, რომელიც სრულებით არ საჭიროებს ისეთ რამეს, რომელიც ჩვენთვის სამიმო იოს, ჩვენი საკუთრებაა სეველი, რომელიც შემოქმედმა მისცა ჩვენს სულს ეტლად ქვეყნად ცხოვრების დროს, ჩვენი სულის და სორცის წინაშე გადამლილა ეოველივე ქმნილება, როგორც სანსწავლებელი ქველმოქმედებისა; როგორც სული ისე სორციც ვალდებულაა, შეძლებისამებრ, ეძიჭბდოს შემოქმედს; როგორც სული ისე სორცი, როცა მოწოდებულ ქმნიებინ ამ ქვენიდამ, უნდა წარდგენ ღვთის სამსჯულოს წინაშე; ორივე ჰასუხის მეტებლია და მიიღებენ სამბეიეროს ქვენიერი ცხოვრებისათვის.

ამისათვის დიცევე, კაცო, შენი სული ეოველივე ცოდვისაკან და ეამძეწნე ივი ეოველივე ძველის საქეებით. ეამოსცადე შენი თავი, იცან შენი ბუნება, — შეიგნე, რომ შენი სეველი მომაკვდავია, სოლო სული უკვდავი,

შეიგნე, რომ ცხოვრება, რომელიც შეჭფერის სორცს, ძალე წარმავალია, სოლო ცხოვრება, რომელიც ეკუთვნის სულს, დაუსრულებელია, უზრდღება მიაქციე შენს თავს: დაიტვე აწმყო, იზრუნე მოძაულზე, ხელიდამ ნუ გაუშვებ შენი დღუდვერობით იმას, რაც უკვე არის, და ნუ სიამოვნებ იმით, რაც კიდევ არ არის (და შეიძლება არც კი იქნეს), და შენ კი ისე ხარ დაიმედებული, თითქო ხელში გეჭიროს. ზღვაში მოსიარულეთ ჩვეულებად აქვსთ იცქირონ ცაში და იქ მონახონ გზის მანვერებელი სოლმადისათვის, დღისით მზით ხელმძღვანელობენ, სოლო ღამით რომელიმე სილული ვარსკვლავით და ამაუბის შემწობით იკებენ გზის მიმართულებას. ამისათვის შენც იქონიე თვალი ზეცისაჲენ, სიტყვისაჲებრ დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც იტყვის: „შენდამი აღვისილენ თვალინი ჩემნი, რომელი დამკვიდრებულ ხარ ცათა შინა“ (ფსლ. 122, 1), უნქირე „მეხს სიამართლისას“, და როგორც ვარსკვლავებით, ისე ისელმძღვანელებ ღუთის მცნებით. იქონიე დაუძინებელი თვალი, რუ მისცემ „თვალთა მილსა და რულსა წამთა შენთა“ (ფსლ. 131, 4,) რთა წმიდა მცნებათა შორის გექნეს შენ ჭეშმარიტი გზის მანვერებელი, როგორც ნათქამია: „სანთელ არს ფერსთა ჩემთა სჯული მენი და ნათელ ალაგთა ჩემთა“ (ფსლ. 118, 105), თუ არას დროს არ მიგეძინება საჭესთან, ვიდრემდისაც იმყოფები ამ ქვეყნად: სადაც ასე იცვლებიან ქვენიური საუქმებები, მამინ მიიღებ შემწობას უოვლად წმიდა სულისაგან, რომელიც წაგიუვანს შენ წინ და უგებლად და წუნარად მიგიუვანს ღუთის ნების ნავთ-სადგურში.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რ. 1) უმორჩილესად გთხოვ განგვიმარტოთ თქვენი გამოცემის «მწყემსი»-ს საშუალებით შემდეგი კითხვები:

1. მრეელში არის ორი მეღვინე და ორიენი ერთად იღებენ შემოსავლისაგან მხოთხედს. ქართლ-კახეთის ეპარხიაში, როცა ორი მეღვინე, იგინი იღებენ 1 მანეთიამ თითო აბაზს, ხოლო სამ აბაზს იღებს მღვდელი. ამ ორში რომელია კანონიერი? ვანაწარად იქვეყანა ქართლ-კახეთში.

2. მთავარ-ღიაკენის წირვა მიცვალბულთათვის სხვა მღვდლებთან წირვის ანგარიშში ჩითვლება თუ არა?

რამდენამდე მღვდელმაც უნდა სწაროს ერთი მიცვალბულთათვის, უკვლას წირვა ერთ წირვად ჩითვლება.

3. მეღვინის აღიღებ ნაკურთხ მთავარ-ღიაკონს თუ რამე ახუქეს მიცვალბულის ტირილზე ანუ ჯვარის წერის დროს, ვალდებულია თუ არა იგი, რომ ეს საწურარი საკრებულო შემოსავალში შეიტანოს, როგორც შეუქეს მეორე მეღვინეს და იმისგან 1/8 ნაწილი მიიღოს?

როდესაც ცალ ცალკე ახუქენ რამეს, ამ საწურარს აღარ უოფენ ერთმანეთ შორის.

4. მღვდელს წესის აგებისთვის მისცეს ერთი მან. და მეღვინეთს ღვინის კოთხიაა და სხვაკრძო მსახურებისათვის მანეთი გარდა სამოდროსი, მეღვინეთს წესის აგებისათვის მღვდლის მანეთში წილი აქვს თუ არა?

მესხუთკი ნაწილი ერთკა.

სასოკადით შემოსავლის გაყოფას დროს კრებულნი უნდა ხელმძღვანელებენ კანონებით, რომელნიც გამოცემულნი არიან 1873—1887 წლებში.

5. ვალდებულია თუ არა ემღვინეთი, რომ ღოცვანი უკითხოა მღვდელს?

გადებულა, მაგრამ ამ ღოცვის დროს თუ მღვდელი სხვას ემუთავება, უკუდაა არ იღოცოს.



იგიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირულ ვამოცემათა ძარბულს

# „მწეპას“-ზე

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ქურნალისა:

12 თვით «მწეპასი» 3 მ. 6 თვით «მწეპასი» 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 5 ,, — ,, ორივე გამოცემა 3 ,,  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 ,,

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ განათები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვი-  
ლების სახლებში და ყვარდაშა რედაქტორის საკუთარს  
სახლებში.

ზარევე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: Вь Квирлян, вь редакцию газеты и  
журнала „МЦЕПАСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი შრომა რუსთავე-  
ლის მხატვრობა უკვე დაურჩებათ ხელის მომწერთ  
და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე  
მიღებენ.

1896 წლის «მწეპასი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრით ეძლევათ

მოზრდადი ფოტოგრაფიული მსატრება

საქართველოს მეფის წმ.

## ღავით აღაშენებელისა

ღ

იმერეთის ეპისკოპოსის

# გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა

რედაქციაში იმეკონება 1887 წლიდან დაწყებული «მწეპასი»-ს ყველა ნომრები. ფასი წლიურად გამოცემისა უღით სამი მანეთი. სტამბაში იმეკონება ყოველგვარი საეკლესიო საბუთების და სხვა მოწმობათა და გამოწერილობათა ბლანკები იაფ ფასად.

ისეილება

საქველმოქმედად

# თამარ-მეფის

და

## შოთა რუსთაველის

## სახიანი

## ფოტის ქალაქი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის  
მალაზიებში

## ფურცალი თითო კაპიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირ-  
სიტყვარვის შონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფ-  
ფასიან და მუქთად დასარკებელ სახალსო წიგნ-  
ძების გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ «კვალის»  
რედაქციაში, ან დაიბარონ ფოტით დ. უფრო-  
ლიდამ მინიელ ბარამაძისგან.

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების სა-  
ხიანი ქალაქიც.

**სახელმძღვანელონი ღ სხვა საკითხავი წიგნები, დაწვრიანი ავტობ გოგება შვილის მიერ.**

**დედაქ. მნქ.** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სურთ და სამრეწლო სკოლებში სწავრებელი, მე-11-ტე შეცვებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულიანი თეში სწავლაე სურათები და ბოლოში საწერა დეღანი, ასე, რომ ამ წიგნის მზარებელთ აღრა მოურღებათ სეიღა არც სანატაეებისა და არც დეღანისა. შასი ისევექემა შაურა, ყღით ორი აბანი, მს წიგნი მოწონებელია და მართულის ენის სახელმძღვანელო დანიშნული განათულის სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... შინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დავთომობა ხუთ შაურათ, ყღით 33 კაპ.

**მწიგნის პირი,** ანუ საკითხავი წიგნი, უმკროსს კლასში სწავრებელი, მერვე გამოცემა შემეული სურათებით და საქართველოს ქართით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყღით ოთხ აბან უზალთური (90 კაპ.). ყღელთ ეს გამოცემა არ სეიღლება. შინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დავთომობა ოთხ აბანად, ენც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ენც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. მს წიგნი მოწონებელია სამინისტროსაგან, როგორც მშენებელი სახელმძღვანელო მართულის ენისა და ავრთევე უწმიდესი სინოდისაგან.

**მკმკრი,** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სწავრებელი, გამოცემა მერვე, ფასი ორი შაური ნარღათ 8 კაეიკი.

**მკმნ** საქაწელო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებრდგან, მერთებ გამოცემა, სურათებანი, ფასი ათი შაური. ენც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ენც ოცსა—ორ აბანათ: წიგნი მოწონებელია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**სკმელი,** ანუ რჩეულთა დექსთა კრება მოზრდილ ყრმათათის, მერვე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებელია სამინისტროსა და სინოდისაგან.

**კუნწული,** ანუ საქაწელო მოთხრობანი, ფასი ორი აბანი. მოწონებელია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**იანანან რე ჰმენე?** მოთხრობა მოზრდელისა წეიღებისათის, მერვე სურათებანი გამოცემა ფ. 10 კ. **საქის მიხეში?** საქაწელო მოთხრობა, ფასი შაური.

**სამინის მანი** საქაწელო მოთხრობა მეფე შირეულეს სურათით, და ქართით. მერვე გამოცემა ფ. 10 კ. **პირითაჟი უაწმეშითმბ.** პუბლიცისტური წერაი დეღანი მწიგნულობის შეახებ ყრბობა ბაღაიანის და ძთელის ერის ცხოვრებასა და წარმეტებას, ფ. 10 ერთ აბანი...

**მთავადეპულინი მართმეღნი,** ისტორიული მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

**РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое,** цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

**РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье,** цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

**РУКОВОДСТВО** для учащихся къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Объ части «Русскаго Слова» одобрены въ качестве учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихся» одобрено для библиотекъ высшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденьемъ Господина Главнаго начальствующаго. (смотри «Сборникъ» распоряженій по управленію Кавказскихъ учебныхъ округовъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано «Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ. ყველა ეს წიგნები უმათერესად იყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში: ბეჟენევილთან, ქილაძესთან და ხეთერულთან, ბათუმში თერვალიძესთან და კალანდაძესთან, ყოთში—ტულუშთან, ოკუბერში და სინჯში თერვალიძე თან, ლანჩხუთში—კონძესთან, სუბჟში—კეკელიძესთან, ყეროლაში—არბიძესთან, სანჯურში—ყარაშენიძესთან, სურამში და ხაწურში—შოთაბასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—ხეილ ცისკაიშვილთან, სარდლში—შახაგორას მაღაზიაში, გლადიკაეკეში—მასწელებელ ბოეკაეკეთან. 15—4.

**შ ი ნ ა ა რ ს ი.**

**სალიტერატურო ბანქოშიღება:** დებრთა, რა ანბები ხნება.—მითროპოლიტი დავითი, მმართებელი იმერეთის ეპარქიისა.—შურა ფიქრები.—სოსიკო კეჩუაშვილი (ლეკსი).—ყოღლად სამღვდელო გაბრიელის მოღაწენობა.—წერალები და მიწერი-მოწერიბი ყოღლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სწავლა-სწავ პირებთან და დწესებულბებთან.—ყოღლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის გარდაცვლებისა გამო. (ლეკსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—აზრი და გრძნობა, გზა ცხოვრებისა.—საყვეო კითხების გმნარტება.—განცხადებანი.